

# ს ი ნ ე რ გ ი ა



ორშაბათი, 28 მარტი, 2011

რეზონანსის ყოველთვიური დაგეგმვა

№6

## დევენილები საქართველოში

დამოკიდებულება დაბრუნებასთან, კონფლიქტის გადაწყვეტასთან და სამართლიანობასთან მიმართებით

### ნათია ახალაია

რა შეიცვალა აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებაში კონფლიქტთან, დაბრუნებასთან, სამართლიანობასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით? რა გადააფასეს დევნილებმა? რა საკითხებზე არსურთ ფერადობით საუბარი და რა კითხვებზე მათთვის მნიშვნელოვანი პასუხის გაცემა?

იმ რეალობასთან დაკავშირებით, რომელიც ახლა დევნილ საზოგადოებაში, საერთაშორისო ორგანიზაციის „შერიგების რესურსების“ ინიციატივით, 2010 წლის ივნისში კვლევა ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო თბილისში, კომპაქტურ ცენტრებში ჩასახლებულმა 1000-მა დევნილმა.

კვლევა შესრულდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. კვლევის პროცესში ჩართული იყო დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი „სინერჯია“.

რამდენიმე დღის წინ, აღნიშნული კვლევის ანალიზი წარმოადგინა „შერიგების რესურსების“ პროგრამის პარტნიორმა - მაგდალენა ფრიჩოვა გრონომ. პრეზენტაციაზე მან შენიშნა, რომ მონაცემები, რომელიც თემით დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგინა, მხოლოდ ერთგვარი რეზიუმეა იმ უზარმაზარი მასალისა, რომელიც ჩატარებული სამუშაოს შედეგად იქნა მიღებული.



გამოკითხვები სამ ძირითად კლასად დაიყო (თბილისი, სამეგრელო და საქართველოს დანარჩენი რეგიონები), რათა შესაძლებელი გამხდარიყო კვლევის შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი.

ინტეგრაცია და თვითდენტიფიკაცია - ეს არის საკითხი, რომელსაც კვლევაში რიგით პირველი პოზიცია უჭირავს. როგორ გრძნობენ თავს დევნილები ქართულ საზოგადოებაში? მიიჩნევენ თუ არა თავს მის

ნაწილად? როგორია პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის ხარისხი? რა პრობლემა დგას მათი მარგინალიზაციის თვალსაზრისით? გამოკითხულთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ისინი ქარ-

თულ საზოგადოებაში თავისუფლებას გრძნობენ; მესამედი კი, შეიძლება ითქვას, რომ თავს თავისუფლად გრძნობს. დევნილები, ძირითადად, ღიად ამბობენ, რომ დევნილის სტატუსის გამო თავს დისკრიმინირებულად (შევიწროებულად) არ მიიჩნევენ. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი უარყოფს მათ შევიწროებას, მეოთხედი კი ამბობს, რომ ამ მიზეზით ისინი მაინც შევიწროებულნი არიან. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოკითხულთა მეოთხედი ჩამოყალიბებული არ აღმოჩნდა.

მ. ფრიჩოვა მიიჩნევს, რომ კვლევის შედეგიდან გამომდინარე, ამ საკითხზე სამუშაო ბევრია, ვინაიდან ინტეგრაციის თვალსაზრისით პრობლემა მართლაც არსებობს.

„ჯგუფს, რომელიც ამ კვლევაზე ვმუშაობდით, დიდი დისკუსია გვქონდა რესპონდენტების იმ პასუხებთან დაკავშირებით, რომლებიც ცალსახა არ არის. ცხადია, მათ პატივი უნდა ვცეთ. მაგრამ შესაძლებელია, ამ საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ, ვერძოდა შეიძლება, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით განსაკუთრებით მგრძობიარე კითხვების მიმართ დევნილებს უჭირდათ პასუხების გაცემა. შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი პასუხებისთვის მზად არ იყვნენ“, - შენიშნავს მ. ფრიჩოვა.

დასასრული 80-3 გვირგვინი

## საჯარო დისკუსია - ხელისუფლების წარმომადგენლების გარეშე

„დევენილთა ინტეგრაციის სტრატეგია მთლიანად დისკრედიტირებულია. იგი გამოსახლების სტრატეგიად გადაიქცა“

### მარი ოთარაშვილი

„დევენილთა ინტეგრაციის საკითხები დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში“ - დისკუსია ამ თემაზე 23 მარტს, პაინრიბ ბიოლის ფონდში გაიმართა. თუმცა, თავად დისკუსია, იმის გამო, რომ შეხვედრაზე ხელი-სუფლებების არც ერთი წარმომადგენელი (მათ შორის, კობა სუბელიანის უწყებიდან) არ მივიდა, პრაქტიკულად, ჩაიშალა.

დევენილთა ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა სოციალური პროგრამების ფონდის თავმჯდომარემ ირაკლი ბოკუჩავამ:

„ზოგადად, ინტეგრაციის საკითხი საზოგადოებაში არაერთგვაროვნად აღიქმება. საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის დევნილთა ინტეგრაცია ნიშნავს იმას, რომ ეს არის პროცესი, რომელიც ხელს უშლის დევნილთა დაბრუნებას, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ იგი სოციალურ ინტეგრაციას ნიშნავს“.

ინტეგრაციის ცნების ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით ისაუბრა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საქართველოს ოფისის დირექტორის მოადგილემ მანანა გაბაშვილმა. მან განმარტა, რომ ინტეგრაციისა და ასიმილაციის ცნებები ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს.

მომხსენებლები შეთანხმდნენ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ინტეგრაციის შეზღუდვის შემთხვევები ძალიან მშორია - როგორც გაცნობიერებულ, ასევე, გაუცნობიერებულ საფუძველზე.

ირაკლი ბოკუჩავა: „ადრე დევნილს საკუთრების უფლება არ ჰქონდა. 2003 წლამდე დევნილთა შესახებ კანონის მიხედვით, თუკი დევნილს საკუთრებაში ექნებოდა ფართი და ის რეგისტრაციას გაივლიდა, კარგავდა დევნილის სტატუსს. მაშინ დევნილის პოლიტიკური და სოციალური სტატუსი ერთმანეთისგან გამიჯ-

ნული არ იყო, და ესეც უშლიდა ხელს დევნილთა ინტეგრირებას.

სამართლებრივი რეგულაციის გარდა, მნიშვნელოვანი იყო ისიც, სურდა თუ არა დევნილ საზოგადოებას, ინტეგრირებულ იყოფილიყო ადგილობრივ საზოგადოებაში და, ასევე, მზად იყო თუ არა ადგილობრივი საზოგადოება ამ ადამიანების მასთან ინტეგრაციისთვის“.

ბოკუჩავას თქმით, ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ისიც, რომ დევნილებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ.

2006-2007 წლიდან დევნილი არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც შეიძლება იყოს რესურსი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარებისთვის.

მანანა გაბაშვილმა დევნილების პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით სამი პირველი გამოყოფა: მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, ინტეგრაცია ადგილზე და განსახლება.

„2008 წლამდე სახელმწიფო სტრატეგიაში პირველ მიზნად ფოკუსირებული იყო დაბრუნება, შემდეგ კი - ინტეგრაცია ადგილზე. მხოლოდ კოლექტიური ცენტრის დახურვა, ან მხოლოდ ადამიანის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება არ ნიშნავს დევნილის ინტეგრაციას. მაგალითად, არ მგონია, დევნილების ფოცხო-ენერჯი გასახლება მათ ინტეგრაციას უწყობს ხელი“, - განაცხადა გაბაშვილმა.

დისკუსიაზე წამოჭრილ საკითხებს საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის“ დაცვის მონიტორინგის პროექტის მენეჯერი - ნუკრი მილორავა ასე ესმაურება:

„დევენილს სამართლებრივ-პოლიტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით პრობლემა არ აქვს; პრობლემები არის სოციალურ-ეკონომიკური ტიპის.

დასასრული 80-4 გვირგვინი

## გლუკ-ი დევნილების საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

### მარი ოთარაშვილი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატსა და ქართულ არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთთანხმობა მიღწეულია. დიპლომატიური შედეგად: დევნილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გლუკი და 21 ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ერთობლივად იზრუნებენ.

„გაერომ ნაწილობრივ აღიარა, რომ მათი ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში იყო ზერეულ და გადაუმოწმებელი. მათ ეს ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს კიდევ. ისინი დაინტერესებულნი არიან, ჩვენი შენიშვნები გაითვალისწინონ,“ - აცხადებს ჩვენთან საუბრისას „ადამიანის უფლებების ცენტრის“ დირექტორი უჩა ნანუაშვილი.

როგორც ცნობილია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა 3 თემურვალს გაავრცელა განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ თავისი მანდატის ფარგლებში - დაიცვას იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის უფლებები - ყურადღებით აკვირდება საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელახალი განსახლების პროცესში, და ხაზს უსვამს, რომ ამ პროცესის დროს, მისი დაკვირვებით, არც ქართული და არც საერთაშორისო კანონმდებლობა არ დარღვეულა.

გლუკ-ის დაკვირვებით, ზაფხულის გამოსახლების განსხვავებით, იანვარში დაწყებული გამოსახლების დროს არ დარღვეულა სამართლის საერთაშორისო სტანდარტები.

„ზაფხულის გამოსახლების შემდეგ UNHCR-მა და პარტნიორებმა მოლაპარაკებების შედეგად მოაღწიეს ძირითად მიზანს, მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული დევნილთა გამოსახლების წესები და ნორმები. ზაფხულისგან გან-

სხვავებით, იანვარში არ ყოფილა პოლიციის მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენება, გარდა მედიით გავრცელებული ერთი შემთხვევისა. იძულებით გადაადგილებული ყველა პირი ინფორმირებული იყო განსახლების შესახებ და ქუჩაში არც ერთი მათგანი არ დაარჩენილა. ფინანსური კომპენსაცია გადაეცა მათ, ვისაც იგი ეკუთვნოდა და ვინც განაცხადი დროულად შეავსო. ჩვენი დამკვირვებლები ესტუმრნენ დევნილებს და ნახეს, რომ მათთვის შეთავაზებული ფართები იყო საცხოვრებლად შესაფერისი. გასაგებია, რომ ეს შესამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც ამცირებენ მათ გასაჭირს, ვერ გახდინა ბედნიერს იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებსაც თბილისში სურთ ცხოვრება“ - წერია გლუკ-ის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში.

სწორედ ამ დასკვნასთან დაკავშირებით, 2011 წლის 17 თებერვალს, არასამთავრობო ორგანიზაციების - „კავკასიის ქალთა ქსელისა“ (ხელმძღვანელი - ნინო ციხისთავი) და „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ (ხელმძღვანელი - ლია მუხაშავერია) ინიციატივით, 21-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სათაო ოფისში, უმაღლესი კომისარის - ანტონიო გუტერესის სახელზე კრიტიკული შინაარსის ღია წერილი გაგზავნა. მასში არგუმენტირებულად იყო გაკრიტიკებული საქართველოში გლუკ-ის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დევნილთა განსახლების შესახებ.

„გლუკ-ის 2011 წლის თებერვლის ოფიციალურმა განცხადებამ დევნილთა გამოსახლებისასთან დაკავშირებით შელახა და ეჭვქვეშ დააყენა თავისი რეპუტაცია, შეურაცხყო, დააბნია და გააღიზიანა საზოგადოება;

დასასრული 80-2 გვირგვინი



# დეზინფორმაცია სამართლებრივი

## დამოკიდებულება დაბრუნებასთან, კონფლიქტის გადაწყვეტასთან და სამართლიანობასთან მიმართებით



ბაბრკაძე

საგულისხმოა პასუხები კითხვაზე, რომელიც დევნილთა თვითდენტიფიკაციას უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 94% თავს ქართველად მიიჩნევს, 17% კი ამბობს, რომ მას მეგრული თვითდენტიფიკაცია აქვს.

როგორია საზოგადოების მიერ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის ხარისხი? გამოკითხულ დევნილთა 54% მიიჩნევს, რომ ისინი, ამ თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად გრძობენ მხარდაჭერას. 12% ამბობს, რომ საზოგადოება მათ მხარს არ უჭერს. გამოკითხულთა მესამედს ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ აქვს. მომსახურებელმა ხაზი გაუსვა, რომ, კვლევიდან გამომდინარე, გამოკითხულთა დიდი ნაწილი არც ამ საკითხთან მიმართებით არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის ფაქტორის არსებობას კი სრულად მხოლოდ 19% იზიარებს.

როგორი სურათია პოლიტიკური მონაწილეობისა და მარგინალიზაციის თვალსაზრისით? მხოლოდ 5% ეთანხმება შეკითხვის ფორმულირებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ პრობლემებს მართლაც ითვალისწინებს; 21% - მეტ-ნაკლებად ეთანხმება; 38% არ არის მზად, უპასუხოთ ამ შეკითხვას, ხოლო 19.4% ამ აზრს არ ეთანხმება.

რამდენად ენდობიან იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოს ხელისუფლებას (მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტს)? აქ მოხსენების აქტიური პარალელს ვაგვიხატოთ სომხების პოზიციასთან ავსებებს: „ერთი მხრივ, ისინი უკმაყოფილებს გამოთქვამენ თავიანთი სოციალური მდგომარეობის გამო, მეორე მხრივ კი, ტრადიციულად, ამბობენ, რომ ხელისუფლების მიმართ ნდობა აუცილებელია“.

კვლევაში, ასევე, გამოკითხვითა საყურადღებო ინდიკატორებია, რომელიც ეთნოსთა შორის ურთიერთობებზე მეტყველებს. შეკითხვის ფორმულირება ასეთია: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს იმის თაობაზე, რომ ქართველებსა და აფხაზებს უფრო მეტი რამ აერთიანებთ, ვიდრე ერთმანეთისგან აშორებთ (კლასიფიკაცია გაკეთდა კულტურის, დინამიკების, მენტალიტეტის და ა.შ. გათვალისწინებით). 68% თითქოს თანახმაა, რომ ქართველებსა და აფხაზებს უფრო მეტი რამ აერთიანებთ, ვიდრე აშორებთ ერთმანეთისგან. მაგრამ ამ აზრს მთლიანად მხოლოდ 28% ეთანხმება. 22% კი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოყალიბებული არ არის.

შემდეგი კითხვა ისევ ეთნოსთა შორის ურთიერთობას უკავშირდება: „რამდენად მეგობრული დამოკიდებულება აქვთ ქართველებს აფხაზი ხალხის მიმართ?“ გამოკითხულთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ ქართველებს აფხაზების მიმართ უფრო მეგობრული განწყობა აქვთ; მეოთხედმა არ იცის, კითხვაზე რა პასუხი გასცეს.

ამავე კონტექსტის შეკითხვა დაისვა სხვა რაკურსითაც - იგი ქართველების მიერ აფხაზების დამოკიდებულებების აღქმას ეხებოდა: „რამდენად მეგობრული დამოკიდებულება აქვთ აფხაზებს სხვა ეროვნებების წარმომადგენლებთან? ამ შეკითხვას დადებითი პასუხი მხოლოდ 11%-მა გასცა. მ. ფრიხოვა: „ვეტიკრობ, ეს მონაცემი გვაჩვენებს, რომ კიდევ ბევრი არის სამუშაო სტერეოტიპების დასაბრუნებლად, ვინაიდან მხოლოდ მესამედი ეთანხმება სრულად იმ აზრს, რომ აფხაზები სხვა ეროვნებების მიმართ მეგობრულად არიან განწყობილი“.

რა შედეგები უჩვენა კვლევამ აფხაზეთიდან დევნილთა გადაადგილების უფლებასთან და საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე?

51% ღიად ამბობს, რომ საცხოვრებელი პირობებით ძალიან უკმაყოფილოა. კმაყოფილებას მხოლოდ 11% გამოთქვამს. მეორე, ძალიან მტკივნეული საკითხი კი სამუშაო ადგილისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემაა.

რა შედეგები უშუალოდ კონფლიქტთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს?

მ. ფრიხოვა: „დევნილებს ვეკითხებოდათ აფხაზეთში მათი სახლების მდგომარეობის შესახებ. ვეტიკრობ, რომ ძალზე საინტერესო მონაცემები მივიღეთ: 47% ამბობს, რომ მათი სახლები დაზარალებულია, 23% ამბობს, რომ იქ სხვა ცხოვრობს, 11% ამბობს, რომ ისინი ცარიელია, 4% ამბობს, რომ იქ მათი ოჯახები ცხოვრობენ, 10%-მა კი ამის შესახებ არაფერი იცის. გამოდის, რომ თუკი დაბრუნება დღესვე იქნება შესაძლებელი, დევნილების, მინიმუმ, 75% - თვის თავიანთ სახლებში დაბრუნება დიდი პრობლემა იქნება. ეს რეალურად, შესაბამისი ციფრებით, ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა“.

ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ძალიან შეშფოთებულია იმის გამო, რომ მათ სახლებში სხვები ცხოვრობენ; მესამედი ამბობს, რომ მათ ურჩევიათ, ის სახლები დაზარალებული ნახონ, ვიდრე მათში სხვა ცხოვრობდეს; მეოთხედს კი მიაჩნია, რომ ისინი მოხარული არიან იმის გამო, რომ მათ სახლებს ვიღაც უყვარს.

კვლევის ორგანიზატორები შეეცადნენ, გაერკვიათ, რამდენი დევნილი იმყოფებოდა აფხაზეთში საომარი მოქმედებების შემდეგ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტების მეოთხედი აფხაზეთში ნამყოფი იყო. აქედან 20% გალის რაიონიდანაა, 3% - ოჩამჩირიდან, 3% - სოხუმიდან, 1% - გაგრიდან, 1% - გულრიფშიდან, 1% - ტყვარჩელიდან.

აფხაზეთში ჩასვლის მოტივები კი, გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, ასე ჩამოყალიბდა: 9%-მა ოჯახი და ნათესავები ინახულა, 7% დაკრძალვასა და

ქორწილში იმყოფებოდა, დაახლოებით მეექვსედი თავის სახლში იყო. გამოკითხულთაგან ძალიან ცოტა იყო ჩასული საფლავების მოსანახულებლად.

ამ კონტექსტში, მ. ფრიხოვამ ერთ გამოკითხვას გაუსვა ხაზი: „ჩვენ ასევე ვკითხეთ მათ, ვინც აფხაზეთში ნამყოფი არ არის - რა იქნებოდა მათი იქ ჩასვლის მოტივი. აბსოლუტურად სხვა სურათი მივიღეთ: ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ, პირველ რიგში, საფლავების ნახვა უნდაო, შემდეგ კი - სახლების“.

აქვე შემოთავაზებთ კვლევის შედეგს, რომელიც გამოხატავს დევნილების დამოკიდებულებას დაბრუნებასთან დაკავშირებით: 87% მზადაა, იფქაროს დაბრუნებაზე, თუკი აფხაზეთი საქართველოსთან ინტეგრირებული იქნება.

როდის იქნება აფხაზეთი საქართველოსთან ინტეგრირებული? 26% ფიქრობს, რომ ეს მოხდება მომავალ ათ წელიწადში; 12% - 5 წლის შემდეგ; 14% - ათი წლის შემდეგ, „არასდროს“ - ასეთია გამოკითხულთა 14%-ის მიერ გაცემული პასუხი; 49% კი ამბობს, რომ მათ ამ შეკითხვაზე პასუხი არ აქვთ.

„თქვენი აზრით, 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთის საქართველოში ინტეგრაციის შანსი გაიზარდა თუ შემცირდა?“ - ამ კითხვაზე მხოლოდ 4% პასუხობს, რომ შანსი გაიზარდა, 60% კი ფიქრობს, რომ ეს პერსპექტივა შემცირდა.


კვლევაში ცალკე თავი ეთმობა კონფლიქტის როგორია დევნილების დამოკიდებულება კონფლიქტთან მიმართებით დღეს? 1992 წელს კონფლიქტის გაჩაღების მთავარი მიზეზები გამოკითხულთა შორის ასე ეკლასიფიცირდა: 35% ფიქრობს, რომ ეს იყო პროვოკაცია გარედან; 33% პასუხისმგებლობას პოლიტიკურ ელიტებს აკისრებს; 9% მიიჩნევს, რომ ეს იყო საქართველოს ხელისუფლების ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგი; მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ ეს იყო ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული დიდი ხნის წინანდელი, ეროვნებათშორისი პრობლემის შედეგი; 16% კი ამბობს, რომ მიზეზი არ იცის.

ამ მონაცემების პრეზენტაციას დარბაზიდან ივლიანოვი ხაინძარავა გამოემართა: „რატომ არ დასვით, ასევე, შეკითხვა - „მიგანჩიათ თუ არა, რომ ეს იყო აფხაზეთის ხელისუფლების ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგი? თუ ასეთი ფაქტორი არ არსებობს?“

მ. ფრიხოვა: „ცხადია, ასეთი ფაქტორი არ არსებობს. ეს იყო ძალიან დიდი კვლევა, და თუ წევრ მას თავიდან ჩავატარებდით, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი შეკითხვა იქნებოდა დასაბამიერი. კვლევაში ახლა ჩნდება ასპექტები, რომელთა კიდევ უფრო სრულყოფილი შეიძლება“.

გამოკითხვის მიხედვით, 80% მიიჩნევს, რომ კონფლიქტის გაჩაღებაში მთავარი როლი რუსეთმა შეასრულა, 59% ძირითად პასუხისმგებლობას აფხაზეთის მთავრობას აკისრებს; 56% კი - საქართველოს ხელისუფლებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი კვლევიდან: 59% მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ძალიან გადამწყვეტა შეუძლებელია. მაგრამ გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი კონფლიქტის სამხედრო გზით



გადამწყვეტის შესაძლებლობას არ გამოიცხავს. აქედან 6% მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, კონფლიქტი გადაწყდეს სამხედრო გზით, 20% კი მიიჩნევს, რომ ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც უკიდურესი საშუალება.

და კიდევ ერთი საგულისხმო შედეგი, რომელიც გამოკითხვამ აჩვენა: შეკითხვაზე - „თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ქართული ხელისუფლების მხრიდან აფხაზი ხალხისთვის ოფიციალური ბოდიშის მოხდა?“ - დევნილთა პოზიციები ასე დალაგდა: ძალიან მნიშვნელოვანი იქნება - 16%, საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება - 19%, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება - 21%, ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება - 10%, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა - 19%, არ ვიცი - 12%, არ მაქვს პასუხი - 3%.

პრეზენტაციაზე დამსწრე აუდიტორია დაინტერესდა, აქვს თუ არა აფხაზურ საზოგადოებას სურვილი, ჩაატაროს ანალოგიური კვლევები. „მე მათ წარვუდგინე წინამდებარე კვლევების შედეგები. მძიმე საუბარი იყო, მაგრამ აშკარა იყო მასალის მიმართ ძალიან დიდი ინტერესი. არ ვიცი, როგორ გამოიყენებენ ამ ინფორმაციას, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი გამოკითხვის შედეგებით ძალიან დაინტერესდნენ“, - ამბობს მ. ფრიხოვა.

ლიანა ბერია, ასოციაცია „თანხმობა“: „სასურველია, კვლევის შედეგები გაგებულ იქნას ზუსტად ისე, როგორც ისინი არის წარმოდგენილი და არა ინტერპრეტაციებით. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და შევებებში და ამ და შევებების საფუძველზე დასკვნების გამოტანისას“.

ელიკო ბენდელიანი, ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ქსევედრების მონაწილე: „მიმარჩია, რომ გამოკითხვაში მონაწილე ადამიანები გულწრფელად პასუხობდნენ შეკითხვებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არაპოპულარული იყო. ეს კვლევა ჩემთვის მნიშვნელოვანი და განსხვავებული, სწორედ, ამ თვალსაზრისით არის“.

ლალი კრივოლავა, წყალტუბოს დევნილ ქალთა ცენტრი: „კვლევაში საინტერესო იქნებოდა გულში დაბრუნებული მონაწილეობის პასუხები. ვინაიდან გამოკითხვა სამეგრელოს რეგიონშიც ჩატარდა, გულელების დამოკიდებულება დაბრუნებასთან დაკავშირებით საყურადღებო უნდა ყოფილიყო. ისინი ხომ გალში მხოლოდ საფლავების მოსანახულებლად არ გადადიან; შესაბამისად, მათ უფრო აქვთ კავშირი აფხაზებთან. მათი პასუხები კვლევაში, შეიძლება აითქვას, ნაკლებად არის ასახული. სავარაუდოა, რომ მათ, გასაგები მიზეზების გამო, გულწრფელი პასუხების გაცემისგან თავი შეიკავეს“.

ქსელის კოორდინატორმა - ნინო კალანდარიანი შეიღობა პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ „შერიგების რესურსებს“ დაგვეხმარება აქვს კვლევის პრეზენტაციისა და დისკუსიის მასალების გამოცემა. ასევე, მოეწყობა შეხვედრები დევნილ საზოგადოებასთან, პრობლემით დაინტერესებულ პირებთან, საბოლოოდ, შემუშავდება გარკვეული რეკომენდაციებიც.

## ქსელმა „სინერგია“ დევნილთა ადვოკატირების სფეროში პროექტის განხორციელება დაიწყო

ბაბრკაძე

მეორე მხრივ, ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნული უწყებებისგან დამოუკიდებლად, პრობლემა ვერ მოიხსნება. სწორედ ამიტომ გადაწყვეტილთ მათთან თანამშრომლობა. ჩვენ ამ ურთიერთობაში შევდევნებთ ჩვენი რესურსით, მათ კი პრობლემის რეალურად გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვთ. ფაქტია, რომ მათ გარეშე პრობლემა ვერ გადაწყდება.

კარგად ვაცნობიერებთ, თუ რა არის ჩვენი ინტერესი. მაგრამ რა არის ამ შემთხვევაში ხელისუფლების მოტივაცია, არ ვიცი. ჩვენ გვინდა, ვიცოდეთ, ესმის თუ არა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა პრაგმატულად სასარგებლოა მისთვის. ეს ჩვენი პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტია.

პროექტის ფარგლებში, პირველ რიგში, ჩავატარებთ კვლევას დევნილთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების არაგამჭვირვალობის, არასაკ-

მარის ხელმისაწვდომობის თემაზე. იგი ჩატარდება გამოკითხვის საფუძველზე, რომელსაც ვანარმოებთ, ძირითადად, სამეგრელოსა და იმერეთში არსებული შესაბამისი სტრუქტურების პასუხისმგებელ პირებთან. გამოკითხვისას, რასაკვირველია, გამოვიყენებ შესაბამის მეთოდოლოგიას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს რესპონდენტთა გულწრფელობის მაღალ დონეს.

კვლევის ანალიზის შემდეგ, ქუთაისსა და ზუგდიდში ჩატარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც კვლევის შედეგებზე რესპონდენტთა პერსონიფიცირების გარეშე ვისაუბრებთ. ამის შემდეგ, ქუთაისსა და ზუგდიდში მოეწყობა მრგვალი მაგიდა. შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართება თბილისში. დაინტერესებული ვართ, რომ რუნველყოფის რესპონდენტთა გულწრფელობის მაღალ დონეს მივაღწიოთ. ამ შეხვედრაზე საბოლოოდ უნდა გადაწყვეტის უფლებამოსილებებთან, კოორდინაციასთან, ცენტრთან ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები. ცხა-

დია, მთლიანობაში, ეს უმტკივნეული პროცესი არ არის.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც პროექტში არის ფოკუსირებული, განსაკუთრებით თვალსაჩინო დევნილთა ბოლოდროინდელი გამოსახლებებში გახდა: ჩვენ არ გვაქვს სწრაფი რეაგირების მექანიზმები; მხოლოდ პოსტფაქტუმ ვრეაგირებთ დევნილთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე. მიგვანჩია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებასთან ერთად, სწრაფი რეაგირების მექანიზმები შევიმუშაოთ და შევათანხმოთ. „სწრაფი რეაგირების მექანიზმებს“ ჩვენ პილოტურ პროექტს უფროდებთ. მიგვანჩია, რომ იგი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა დევნილთა პრობლემებს პოსტფაქტუმ კი არ მივსდებით, არამედ იქამდე ვიმოქმედებთ, სანამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა, მეტ-ნაკლებად, იქნება. ჩვენ მხოლოდ დევნილთა გამოსახლებების შემდეგ ვწერთ საპროტესტო წერილებს, ეს კი, საბოლოო ჯამში,

ფაქტობრივად, დაგვიანებული რეაქციაა. უნდა შევეცადოთ, მანამდე ვიაქტიურეთ: როგორც კი შევიტყობთ, რომ მსგავსი პროცესი უნდა დაიწყო, უნდა დავიწყეთ ინფორმაციის შეგროვება, ვი-ურთიერთოთ ხელისუფლებასთან და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ ეს მცდელობა უპირობოდ დადებით შედეგს მოგვცემს, მაგრამ დევნილთა უფლებების დასაცავად შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გამოვიყენოთ.

პროექტის განხორციელების ბოლო ეტაპზე გამოვეცემთ ცნობარს, რომელიც, კვლევიდან გამომდინარე, უკვე გამიჯნული იქნება კონკრეტული სახელისუფლებო უწყებების უფლებამოსილებები. ამავც ცნობარში იქნება ინფორმაცია ჩვენ მიერ შემუშავებული სწრაფი რეაგირების მექანიზმების შესახებ; ასევე, მოცემული იქნება დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ვრცელი ნუსხა.

მარი ოთარაშვილი

„დევენილთა განსახლების შესახებ თავისი აზრი აქვს გლუკ-ს და თავიანთი აზრი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე შეიძლება გავიზიარო მათი მოსაზრება, ან - პირიქით, - ამბობს ჩვენთან საუბრისას სახალხო დამცველი გიორგი ტულუაშვილი და იმასაც დასძენს, რომ გლუკ-თან გაფორმებული შემორანდუმი ან ამ ორგანიზაციასთან რაიმე ტიპის თანამშრომლობა სულაც არ ნიშნავს მას, რომ მათი მოსაზრებები და შეფასებები თუნდაც დევენილთა გამოსახლების შესახებ ერთმანეთს უპირველესად უნდა ემთხვეოდეს.

2011 წლის 25 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმი ადასტურებს მხარეების მზადყოფნას, ითანამშრომლონ (ორგანიზაციების მანდატის ფარგლებში) თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და დევენილთა სამართლებრივი დაცვის სისტემების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

რას ნიშნავს გლუკ-თან გაფორმებული მემორანდუმი საქართველოს სახალხო დამცველისთვის?

გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა და სახალხო დამცველს შორის თანამშრომლობის მთავარი მიზანია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით სპეციალური რეფერალური მექანიზმის ჩამოყალიბება; პოლიტიკის იმპლემენტაცია, რომელიც მიზნად ისახავს ლტოლვილებისა და დევენილების პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ინტეგრაციას; მოქალაქეების არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებას და ადვოკატირებას სახელმწიფო დაწესებულებების შესაძლებლობების გა-

უმჯობესების კუთხით. ეს კი უზრუნველყოფს მათ მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას ზემოთ ჩამოთვლილ სამივე სფეროში.

მემორანდუმის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი შეაფასებს თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და დევენილთა უფლებების დაცვის მდგომარეობას და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან თანამშრომლობით შექმნის რეფერალური მექანიზმს ცალკეული ინდივიდუალური პრობლემების მოსაგვარებლად. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ითანამშრომლებს გლუკ-თან საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის კუთხით.

სო დამცველის ოფისი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, დიდი ხანია, თანამშრომლობენ მემორანდუმი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კანონმდებლობის კუთხით უფრო ფართოდ ვიმუშაოთ. ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი პროექტი, რომელიც გულისხმობს დევენილთა ჩასახლების მონიტორინგს, რაშიც გლუკ-ი ძალიან გვეხმარება.

**კონკრეტულად, რა თვალსაზრისით გეხმარებათ გლუკ-ი?**

თუნდაც, ფინანსური რესურსებით, რადგან ამ მხრივ ჩვენ ძალიან შეზღუდულები ვიყავით. გარდა ამისა, ჩვენს პარტნიორებთან ძალიან ხშირად გვაქვს შეხვედრები და მსჯელობა მნიშვნელოვან საკითხებზე.

**დევენილების ბოლოდროინდელი გამოსახლების ფაქტებთან დაკავშირებით გლუკ-თან თქვენს აზრს გთხოვთ.**

კ-ის მიერ გაკეთებული დასკვნა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მკაცრად გააკრიტიკეს. თქვენ როგორ აფასებთ მათ პოზიციას?

დევენილთა განსახლების შესახებ თავისი აზრი აქვს გლუკ-ს და თავიანთი აზრი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე შეიძლება გავიზიარო მათი მოსაზრება, ან - პირიქით. მე და ჩემს აპარატს ყოველთვის გვექნება საკუთარი ხედვა. თუკი ვთანამშრომლობ სხვადასხვა ორგანიზაციასთან (ამ შემთხვევაში - გლუკ-თან) და მასთან მემორანდუმი მაქვს გაფორმებული, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ჩემს შეფასებებში დამოუკიდებელი ვერ ვიქნები. მომავალ საპარლამენტო ანგარიშში, რომელიც მალე საჯარო გახდება, დევენილთა გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით დეტალურად იქნება ასახული ჩემი პოზიცია. წინასწარ არავის ვუთანხმებ იმას, თუ რას დაწვრილ საკუთარ ანგარიშში. აქედან გამომდინარე, ამას მემორანდუმთან ნაკლებად აქვს შესება.

აღა მარუანია: „დევენილთა თავად უნდა იყვნენ პრობლემის გადაჭრის ინიციატორები“

მარი ოთარაშვილი

„იანვარში, თოვლსა და სიცივეში, საბარგულებში ყრი და ასახლებს ხალხს! რაში სჭირდებათ ასეთი ვანდალიზმი? - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარუანია ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ დევენილების პრობლემების მოგვარებისთვის, უპირველესად, თავად დევენილებმა უნდა იზრუნონ.

ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დევენილების სულიერი მდგომარეობა და მათი თვითშეგნება. მათი სოციალური და მატერიალური მდგომარეობა რომ უმძიმესია, ეს ყველამ ისედაც კარგად იცის. და ხელისუფლება, თავისი დამოკიდებულებით, მათ კიდევ უფრო უმძიმებს მორალურ მდგომარეობას.

ხშირად მივიჩნევდი დევენილების მიმართ ამ ხელისუფლების დამოკიდებულებაზე - იმაზე, თუ რატომ გვექცევიათ ასე. და შემოქმედია, ვთქვა: სანამ დევენილები (პირველ რიგში კი ამას ჩემს თავს ვეუბნები) არ გავიარებთ იმას, რომ ვართ სერიოზული ძალა; სანამ არ გავერთიანდებით მძლავრ, ქმედით ძალად, რომლის უპირველესი მიზანი და ამოცანა იქნება აფხაზეთისთვის ბრძოლა, მანამდე ჩვენ მიმართ სწორედ ასეთი დამოკიდებულება იარსებებს.

ამის მისაღწევად, პირველ რიგში, საჭიროა თვითშეგნება. თავად მოსახლეობამ უნდა გაიაროს,

რას აკეთებს, როგორ ცხოვრობს. ამ შეკითხვაზე დევენილები გიპასუხებენ, რომ დღეს მათი მთავარი საზრუნავი საარსებო წყაროს შოვნაა. ყველა იცის, რომ დევენილები ასეთ დღეში მისმა უფარგისმა ხელისუფლებამ ჩააგდო - მას არ ჰქონდა თანმიმდევრული, გააზრებული პოლიტიკა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისთვის. ამასთან, საშუალოდ, დევენილებს მიაჩნიათ, თითქოს მათი პრობლემები მხოლოდ ხელი-სუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. ჩემი აზრით, დევენილები თავიანთი პრობლემების გადაჭრის პროცესში არაა თუ უნდა ჩაერთონ, არამედ თავად უნდა იყვნენ პრობლემის გადაჭრის ინიციატორები. ისინი, ამ თვალსაზრისით, მოსვენებას არ უნდა აძლევდნენ არამხოლოდ ხელისუფლებას, არამედ მთელ პოლიტიკურ სპექტრს და, რა თქმა უნდა, მთლიანად, ქართულ საზოგადოებას.

თუკი დევენილებს გვინდა, რომ პატივს გვცემდნენ, ამაზე თვითონვე უნდა ვიზრუნოთ. დევენილებს მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება არანაირ პოლიტიკურ და მორალურ ჩარჩოში არ ჯდება. რადგან დევენილი პასიურია, ძალადგობით უნდა ურტყა თავში და გააგდო? მაგრამ სანამ ამ ყველაფერს არ გავიარებთ და არ ვაჩვენებთ მთელ საზოგადოებას ჩვენს რესურსს აფხაზეთისთვის ბრძოლაში (თოფს და ტანს არ ვგულავსებთ - სხვა, არასამხედრო საშუალებებით არსებობს), ჩვენ მიმართ

ასეთი დამოკიდებულება არ შეიცვლება.

ჩვენ მოგვისაუბრადა, ალარც აფხაზეთის ტელევიზია გვაქვს ქართული ტელევიზიისთვის დევენილების თემა აქტუალური არ არის. არადა, ნორმალური ხელი-სუფლების დილა სწორედ იმაზე ფიქრით უნდა იწყებოდეს, თუ რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ დღეს იმისათვის, რომ აფხაზეთს მივუახლოვდეთ.

**თქვენი აზრით, რატომ არის დევენილები ამ თვალსაზრისით ინერტული? იქნებ ფიქრობენ, რომ მათ ეს არ გამოუვათ?**

ბევრი მიზეზია. თუნდაც, რომელიმე ტელეარხი აქტიურად რომ ამუშავებდეს დევენილთა პრობლემებს და ეთერს ხანდახან მაინც გვითმობდეს, გარკვეულ მობილიზაციას მოვანდენდი. აქტიური ადამიანები დევენილთა შორისაც არიან, მაგრამ - ძალიან ცოტა. ბოლოდროს, პატარა-პატარა ჯგუფები გაერთიანდნენ დევენილთა სამოქალაქო მოძრაობაში. მე მისი მხურვალე მხარდამჭერი ვარ.

**კობა სუბელიანის უწყებებიდან ხშირად ისმის ასეთი განცხადებები: „დევენილებს კარგ პირობებს ვუქმნით, დევენილებს ვასაქმებთ“ და ა.შ.**

რა თქმა უნდა, რალც-რალც-ცები კეთდება. დაუნახავი არავინ არის. მაგრამ დევენილების გასახლება ასე რატომ ეჩქარებათ? არ შეიძლება, ნორმალურ ვითარებაში, კანონის დაცვით გამოასახლონ და მერე სხვაგან ჩაასახ-

ლონ? მით უმეტეს, რომ ათი კაციდან ცხრა თანახმაა, წავიდეს. მართალია უნდა აუხსნან, სად მიჰყავთ, იქ რა დახვდებათ და რომ შიმშილით არ დაიხრცებიან. სხვა პრეტენზია დევენილებს არ აქვთ. იანვარში, თოვლსა და სიცივეში, საბარგულებში ყრი და ასახლებს ხალხს! რაში სჭირდებათ ასეთი ვანდალიზმი?

ის მაინც გაითვალისწინონ, რომ მტერი გვიყურებს. ეს დევენილები ხომ შენი ქვეყნის მოსახლეობაა - ტრაგიკული, ომგამოვლილი. ეს რა სცენარია?! სწორედ ამიტომ ეყრება ამ ხელისუფლებას წყაღი, თუკი რამე კარგი გაუკეთებია. ჩინოვნიკები დევენილებს შეკითხვაზე ცინიკურად, აგდებულად პასუხობენ. თხუთმეტჯერ რომ შეაწუხა დევენილმა, ამიტომ გაბრაზდა? ამიტომ უნდა უთხრას, - სადაც წახვალ, ბალახი ჭამო? ყველანი როგორ ხართ ავად, ყველა ოჯახში სამსამი ინვალიდი რატომ გყავთო! გასაკვირია, რატომ ავადმყოფობენ და რატომ შვებენ ოჯახში რამდენიმე ინვალიდი? ამ ხალხმა ხომ საშინელი სტრესი გადაიტანა! კვირაში ორ-სამჯერ პანაშვიდებზე ავადვიდები. დღე არ გავა ისე, რომ ვინმეს სიკვდილი არ გაგიგო. თუკი ჩინოვნიკებს ამ ყველაფრის მოსმენა არ შეუძლიათ, რატომ უნდა ავადმყოფობებზე? არ იციან, რომ მათი მოვალეობა ამ ყველაფრის მოსმენა და მათზე რეაგირება?

**რამდენად აქვთ ჩემთვის ცნობილია, თქვენი ინიციატივა?**

**ატივით, აფხაზეთში დაღუპულთა დედები - დევენილი ქალბატონები აფხაზეთში უნდა ჩასულიყვნენ და აფხაზეთში დედებთან ერთად ელოცათ დაღუპულთა სულებისათვის. რა გარკვევლება მოსყვამთქვენს ამ იდეას?**

სამწუხაროდ, ასეთი იდეების განხორციელება ადვილი არ არის. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღოლი - მამა დავითი სწორად გადადის ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში და ქართულად ალაგლავს ნირვა-ლოცვას. ეს შესანიშნავი იდეა სწორედ მას ეკუთვნოდა. გიორგობის დღესასწაულზე, 23 ნოემბერს, გვინდოდა, ათი ქალბატონი აფხაზეთში გადაესულიყავით და აფხაზეთში დედებთან ერთად გველოცა ყველა დაღუპულის - აფხაზისა თუ ქართველის - სულებისთვის. გამგზავრებისთვის ყველაფერი მზად იყო. რუსულან ქვეყნის აფხაზეთში სამსამი ინვალიდი რატომ გყავთო! გასაკვირია, რატომ ავადმყოფობენ და რატომ შვებენ ოჯახში რამდენიმე ინვალიდი? ამ ხალხმა ხომ საშინელი სტრესი გადაიტანა! კვირაში ორ-სამჯერ პანაშვიდებზე ავადვიდები. დღე არ გავა ისე, რომ ვინმეს სიკვდილი არ გაგიგო. თუკი ჩინოვნიკებს ამ ყველაფრის მოსმენა არ შეუძლიათ, რატომ უნდა ავადმყოფობებზე? არ იციან, რომ მათი მოვალეობა ამ ყველაფრის მოსმენა და მათზე რეაგირება?

**როგორ ფიქრობთ, რატომ?**

იქ ასეთი ჰუმანიტარული აქციის წინაღობა არავინ იყო. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მემორანდუმი აფხაზეთში ფაქტობრივად არ არის: ახლა აფხაზეთში რუსეთის ძლიერი გავლენაა. ამდენად, ჩემი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა მათზე დამოკიდებული აღარ არის.

საჯარო დისკუსია - ხელისუფლების წარმომადგენლების გარეშე

ბაბრკამლევა

ჩემი დაკვირვებით, ინტეგრაციას ხელს, ყველაზე მეტად, შემდეგი გარემოებები უშლის:

დევენილთა დამისამართების პრობლემა - რაც სტატისტიკასა და მიგრაციის საკითხს ართულებს.

ხელიშემოწმებული ფაქტორია დევენილთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში. თბილისიდან ზუგდიდში ან სოხში დევენილ ხმის მისაცემად ვერ ჩავა, შესაბამისად, მისი ხმა იკარგება. გამოდის, რომ საარჩევნო უფლება დევენილს არ აქვს.

პრობლემას ქმნის საცხოვრებელი სახლის სიმცირეც. ამ მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ და ახალ დევენილებს შორის დისკრიმინაციული მიდგომაა: ძველ დევენილებს ფართი უმეტესად ახლებზე კი გარკვეული სტანდარტები მოქმედებს. ასევე, ძველ დევენილს მინას არ აძლევენ, ახალს კი - კოტეჯთან ერთად - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის მიწებს.

განსახლების თვალსაზრისით კი, შეიძლება ითქვას, ქაოსია. დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში კი წერია, რომ დევენილი თავისი სურვილით ირჩევს რამდენიმე ალტერნატივად რომელიმეს. თუკი მას ალტერნატიულ საცხოვრებელში გადასვლა არ უნდა, მოითხოვს ფულს, ხოლო, თუკი არც ამას თანხმდება, არსებობს მესამე ალტერნატივა - სადმე, სოფელში მისთვის სახლის შექმნა. სამწუხაროდ, ასეთი რამ არ კეთდება. მივლენ კოლექტიურ

ცენტრში და ეუბნებიან: „თუ გინდა, მოანერგე ხელი, თუ არა და, აგერ, გამოადებულე გვაქვს ნალკა, ფოცხო-ენერი და იქით გადაგიყვანთ“. დევენილი იძულებულია, ხელი მოაწეროს, რათა არ გახდეს ფოცხო-ენერის, ან გაპაირებულნი რომელიმე სხვა საფრთხილს მსხვერპლი“.

მ. ბილორავა განმარტავს იმასაც, რომ არ არსებობს იმ ობიექტების საპრივატიზაციო ნუსხა, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაასხვისოს. გარდა ამისა, დევენილთა სამინისტროსთან იძულებით გადაადგილებულთა კომუნისკისა, პრაქტიკულად, არ არსებობს, რადგან სუბელიანის უწყება დევენილებთან არანაირ კონტაქტზე არ გადის.

„დევენილთა ინტეგრაციის სტრატეგია მთლიანად დისკრედიტირებულია, რადგან იგი გამოსახლების სტრატეგიად გადაიქცა. ფოცხო-ენერი კი დაშინების ინსტრუმენტად გახდა. ეს დევენილის ინტეგრაცია კი არა, მისი იზოლაცია და მარგინალიზაციაა“, - განაცხადა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ქსელ „სინერგის“ კოორდინატორმა, ნინო კალანდარიშვილმა.

აუდიტორიამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დისკუსიას ხელისუფლებიდან არავინ ენაშტებოდა და, შესაბამისად, დარბაზში დასმული კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა.

**მანუჩარ სიგუა**, დევენილთა სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენელი: „სამინისტროდან არავინ მოსულა. ჩვენ კი



გაზეთი „სინერგია“ გამოდის დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან არსებული საერთაშორისო განვითარების ფონდისა (UKAID) და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.